№ 10

9 მარტი

# ივერია

ფასი ერთი შაური

1909 წ.

სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი გამოდის ორშაბათობით

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, ред. газ. „ИВЕРIА“ **К. П. Туманову.**

გაზეთი „ივერია“ გამოდის ორშაბათობით, ცალკე № ღირს ყველგან ერთი შაური. ნომერში მოთავსებული იქნება კვირა დღის ამბები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში სამშაბათობით გამოდის.

**წლის ფასი 3 მან.**

სარედაქციო ნაწილის გამგე კ. პ. **თუმანიშვილი.**

წარმოდგენა № 5 **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 5

ოთხშაბათს, 11 მარტს 1909 წ. ქართული დრამატიული საზოგადოების ფონდის გასაძლიერებლად წარმოდგენილი იქნება:

I

## ალლუმი

**მხიარული კომედია 4 მოქმედ. გადმოქ. ვ. გუნიასი.**

II

## ტაირი სოვეტნიკის სიზმარი

**პოლიტიკური ბუფონადა 1 მოქმედებად პოტაპენკოსი თარგ. ხახანაშვილისა.**

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია ✦ დასაწყისი სალ. 8 საათზე**

მზადდება წარმოსადგენად **ოტელო, ორი ჯიბგირი, ჩერჩეტი, დღენი ჩვენი ცხოვრებისა**

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი ✦ რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

**დროებით საზოგადოების ადმინისტრაცია.**

## შორაპნის მაზრის თავ.-აზნაურთა მარშალი

ამ მაზრის თავად-აზნაურთ ატყობინებს, რომ შორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა კრება, რომელიც ჩვეულებრივ საგუბერნიო კრების წინ ხდება, დანიშნულია 10 მარტს, დილის 10 საათზე, დ. ყვირილაში ვოინსკი პრისუტსტვიეს დარბაზში. მარშალი სთხოვს თავად-აზნაურთ თან მოიტანონ ცენზის დასამტკიცებელი საბუთები (კუპჩები, პლანები და სხ.) იმ თავად-აზნაურთა სიების შესამოწმებლათ, რომელთაც საგუბერნიო კრებაზე მონაწილეობის უფლება ეძლევათ.

თავ.-აზნაურთა მარშალი თავ. **წერეთელი**

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა თანამდ. ადმასრ.

ამით აცხადებს, რომ ტფილისის გუბერნიის მორიგი კრება მოხდება 24 ამა მაისს ქ. ტფილისში.

კახელ მეღვინეთა ამხანაგობა

## საერო

ამხანაგობის წევრთა ვენახების ღვინო ბოთლი 25 კაპ და მეტიც.

მუდმივ მუშტრებს ღვინო დაკლებულ ფასებში ეძლევათ

**მაღაზია იმყოფება ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლაში**

ტელეფონის № 720. 0—1

## ამერიკული ვაზის სანერგე

**„კლდე-ყგურული“** ქუთაისში.

**მთელ რუსეთში განთქმული მრავალი სხვადასხვა ჯიშის ვაზები**

**1200** ჯიშის ამერიკული, ევროპიული და აზიური ღვინის და საჭმელ ყურძნის და გიბრიდები პირდაპირ დასარგველი.

**პრეის-კურანტი და ახსნა-დარიგება ეგზავნება მსურველს უფასოთ.** (3—3).

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის ალმ.

სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის ადგილობრივ განყოფილებისაგან მიღებულ ცნობის თანახმად, ატყობინებს იმათ, ვისაც ხსენებულ ბანკში მამულები აქვთ დაგირავებული, რომ გაზაფხულის ტორგებზე მსესხებლებს არავითარი შეღავათი არ ექნება და ამიტომ ყველამ ნეღოიმ. თავის დროზე და სრულად უნდა გადაიხადონ.

## ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ამხ.

## კოლხიდა

დაიწყეს წადება სხვა და სხვა **დამყნილ ვაზისა**

საჭირო ცნობების და პრეისკურანტების მიღება შეიძლება გამ. **გ. მ. ჩივაძისაგან.**

0—1

## გრამოფონის სააქციო საზოგადოება

ტფილისის განყოფილება, გოლოვინის პროსპექტი № 9.

პატივცემულ მყიდველებს და იმათ, ვინც გაცნობილი არ არის მე-XX საუკუნეში გამოგონილ გრამაფონებს, ვატყობინებთ რომ ყოველ ოჯახის სიხარულის და კმაყოფილების ნამდვილი წყაროა

## გრამოფონი

TRADE MARK "GRAMMOPHON"

საზოგადოების ნამდვილ პლასტინკებით, რომელთაც ზედ აზის საფაბრიკო ნიშანი **„მწერავი ანგელოზი“** ან **„ზონოფონი“** ამ უქმეებისთვის საუკეთესო საჩუქარია



## გრამოფონი

გრამოფონების ფასია 30—100 მანეთამდის და უფრო მეტიც, პლასტინკები 75 კაპ.—3 მან. და მეტიც.

მყიდველებს ვურჩევთ შეიძინონ პლასტინკები შერჩეული ოპერებად და ოპერეტკებად, აგრეთ საცეკვაო მუსიკის პლასტინკები. ამნაირად ყველას საშვალება ეძლევა მოისმინოს ოპერა და ოპერეტკა შინ, თავის ოთახში, ან მოაწყოს შინვე საცეკვაო საღამო

**მოგვყავს შემდეგი სია:**

| ოპერეტკები: | ოპერები: | საცეკვაო: |
|---|---|---|
| ღამურა | ფაუსტი | შაკონ |
| მხიარული ქვრივი | რუსულათ და ლიუდმილა | კიტაიანკა |
| დოლარების პრინცესსა | პიკოვაია დამა | ლეკური |
| | ევგენი ონეგინ | ზეც და სხვ. |

## აგრეთვე სხვა და სხვა ქართული, იმერული და გურული სიმღერები

ვთხოვთ ყველას ყურადღება მიაქციონ საფაბრიკო ნიშნებს და სიყალბეს და მოტყუილებას ერიდონ

ZONOPHONE TRADE-MARK

პრეისკურანტები, კატალოგები, სიები და ყველა ნაბეჭდი წიგნები მსურველთ მუქთად დაურიგდებათ და ეგზავნებათ.

ყოველი სიმღერა პლასტინკით მსურველისათვის საზოგადოების მაღაზიაში უფასოდ დაიკვრება. მაღაზიასთან სახელოსნოა, შეკეთება მეტად იაფად სრულდება. 4—2

**ღვინოები „მელაანი“**

**თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილისა და კამპ.**





**ტელეფონიი № 493**

## კაფე პარიზი

ტფ. თავად-აზნაურობის თეატრის ეზოში

(Дворцовая ул,)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო პიროჟოკები, ბუტერბროტები (15 კაპ. და მეტიც)

## ხაჭაპური

**ცივი და ცხელი კერძები 25 კ. და მეტი**

სასმელი წყლები

**ლუდი, სადილი**

**ფასები ხელმისაწდომია**

სისუფთავე და კარგი სამსახური

## ქველმოქმედება და ჩვენი მწერლობა

(ხმა შორიდან)

სწორედ ამ ერთი წლის წინად ღია წერილით მივმართე ჩვენებურ-ქველმოქმედთ და ვსთხოვე, დახმარებოდენ ჩვენს სიტყვა-კაზმულ მწერლობას (იხ. გაზეთი „ამირანი“ № 13, 15 მარტის 1908 წ.)

წინადაც არა ერთხელ გამომითქვამს ის აზრი, რომ ჩვენში მწერლობას საკუთარ ძალღონით ნორმალურად განვითარება არ შეუძლია და დახმარებაა საჭირო-მეთქი.

მაგალითად, ჯერ ისევ 1893 წლის „ივერიაში“ (9 იანვარი, № 5) დაიბეჭდა ჩემი წერილი „დროის“. რომლითაც პირველად მოვიწვიე ქართველი საზოგადოება სალიტერატურო ფონდის დასაარსებლად და 1903 წელს „ივერიაშივე“ (19 აგვისტოს № წერილში, „ჩვენ განა მწერლები გვყავს?) ერთხელ კიდევ შევეხე ამ საგანს...

...„მხოლოდ ჩვენში მიუხედავად იმისა, რომ არსად დახმარება ისე საჭირო არა ყოფილა მწერლობისათვის. ამიტომაც უკანასკნელი დღემდის მივიწყებული არის, რომ ჩვენი მწერლობა აღარ ვითარდება თანდათან, ერთ წერტილზე გაჩერებულა, ან უკან უკან იწევს.... ამიტომაც არის, რომ იქამდისაც მივედით, რომ ჩვენი უკანასკნელ დროში თითქმის ერთ ად ერთი თავმოსაწონებელი ილია ჭავჭავაძე ჩვენისავე ხელით მოვკალით და მხოლოდ მის სიკვდილს შემდეგ ეღირსა სახალხოდ გამოცემა მ ს ნაწერებს. ბარემ ბევრიღა ვინანეთ, გაზეთებში რომ დაიწყეს მასზე (ილიაზე) წერა, მ-გრამ რაღას გავაწყობდითო, ამბობენ თურმე ჩვენში ზოგიერთები, ხომ გესმით ქართველს არა სცოდნია, ვინ იყო ილია და იმიტომ გამოუმეტებიათ მოსაკლავად. განა ქართველი მწერლობას რომ შესაფერი გულშემატკივარი ჰყოლოდა, ამისთანა ამბავი მოხდებოდა?“...

ვამბობდი სხვათა შორის ზემოდ დასახელებული „ღია წერილში“ ქართველ ქველმოქმედთა მიმართ. რომ ბევრმა ქართველმა არ იცის, ვინ იყო ილია, და არ იცის მხოლოდ იმიტომ, რომ არავინ არა ცდილა გაეცნო იგი მისთვის ამტკიცებს ამასწინად „ივერიაში“ მოთავსებული საინტერესო წერილიც „ი. ჭავჭავაძის მოკვლის ადგილას“ (№ 5, 2 თებერვალი 1909 წ.) ნიკოლოზ არჯევანიძისა. „რა დიდი კაცი ყოფილა განსვენებული ი. ჭავჭავაძე და ჩვენ კი აქამდინ არ ვიცნობდით. რა იყო იმ დალოცვილს ერთხელ მაინც თავისი თავი ეცნობებინა ჩვენთვისაცო, უთქვამ ავტორისთვის ერთ ცნობილ მონადირეს ნიკოლა ბერიძეს და მასაც უპასუხნია სხვათა შორის; „თუ ვერ ვიცნობდით, ჩვენივე ბრალია; ის კი სოფელ სოფელ ვერ დაგვივლიდა, როგორც ისრაელი ფართლით, და ვერ გვეტყოდა, მე ესა და ესა ვარო...

დიახაც, რომ თუ ქართველი ხალხი ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვა ჩვენ მწერლებს ვერ იცნობს, უკანასკნელთ არ მიუძღვით ბრალი, მაგრამ არც ხალხია ამაში დამნაშავე. რასაკვირველია, მწერალი სოფელ-სოფელ ვერ დაივლის და ვერ იძახებს, ესა და ესა ვარო, მაგრამ დღეს ვერც ქართველ ხალხს მოვსთხოვთ, თვითონვე ეძებოს თავისი მწერლები. ქართველი ხალხი ხომ ბუნებით ხელოვნების მოყვარულია, მას ხალხური პოეზია და სიმღერებიც კარგად მოწმობენ; გარდა ამისა ხომ ქართველ ხალხს წიგნი უყვარს და, თუ კი საშუალება ეძლევა, უკან არ დგება, წერა-კითხვა ისწავლოს, ამასაც, მგონია, მტკიცება არა სჭირდება და რა მისი ბრალია, რომ წერა-კითხვის სწავლაც გაძნელებულია დღეს მისთვის და ჩვენთა მწერალთა ნაწერების შოვნაც. აიღეთ თუნდ იგივე ნიკოლა ბერიძე. როგორც მის წერილიდანა სჩანს, წერა-კითხვა მშვენივრად სცოდნია, მაგრამ ილია ჭავჭავაძე-კი მხოლოდ მის სიკვდილის შემდეგ გაუცვნია, როგორც შესანიშნავი მწერალი.

სირცხვილი იმ შეძლებულ ქართვე-

ლებს, რომელთაც შეეძლოთ გამოეცათ ილია ჭავჭავაძის და სხვა მის წინანდელ და თანამედროვე მწერალთა ნაწერები ხალხისთვის, თუ სულ მუქთად არა, ხელ მისაწვდომ ფასად დასარიგებლად, და დღემდის არ უზრუნიათ ამისთვის! სირცხვილი იმ ნასწავლ ქართველებსაც, ვისაც შეეძლოთ გაეცნოთ, ასე თუ ისე, ხალხისთვის ჩვენი მწერლები და დღემდის ხელიც არ გაუნძრევიათ ამისთვის!..

მაგრამ რაც იყო,—იყო და ეს რაღა უბედურებაა ჩვენს თავს, რომ გვეუბნებიან თურმე, აი ფული ქართველ სიტყვა კაზმული და სამეცნიერო მწერლობის განსავითარებლადო და ჩვენ-კი ვერ მოგვიხერხებია საქმის გაძღოლაც?

გაზეთ „დროების“ აზრით ეს მოვლენა სხვათა შორის შემდეგს მოწმობს: (№ 20, 27 იანვ. 1909 წ.)

„ 1. ქართველ ინტელიგენციას იმდენი გონებრივი და სალიტერატურო ძალა არ გააჩნია, რომ ერთი სერიოზული სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი ასაზრდოვოს;

2. ქართველს ინტელიგენციას იმდენი გამბედაობა არა აქვს, რომ იკისროს სერიოზული მეცნიერული კვლევაძიება თანამედროვე ქართველის ცხოვრებისა;

3. ქართული სალიტერატურო ხელოვნება იმდენად დაქვეითებულია, რომ მეცენატების წყალობისაც კი თითონვე ეხათრება და ამიტომ თავს არიდებს მას“ ეტყობა, ამ აზრს არ ეთანხმება მ. მეთვალყურე („ივერია“ № 5) და თავისს მხრივ კითხვაზე: „რად ჩაიშალა ქველმოქმედის დახმარებით გამოსაცემ ჟურნალის საქმე?“-ო, გვიპასუხებს:

„პირველი მიზეზი ის არის, რომ ყოველი საქმე ქველმოქმედების იმედით დაწყებული, სუსტი და უსიცოცხლოა, თუ მას გვერდში საქმის სიყვარული და აღმასრულებლების გატაცება არ უდგას. და ეს გატაცება, ეს საქმის სიყვარული ფულით არ იყიდება და ფულით არ შეიქმნება. ქველმოქმედებას თავისი საზღვრები აქვს და ამ საზღვრებს თუ გადასცილდება, იგი ძალას ჰკარგავს და ვერავითარ ნაყოფს ვერ გამოიღებს“-ო და სხვა. და შემდეგ კიდევ დაასკვნის:

„ჩვენ გვგონია, რომ ამ საქმის მეთაურებს შეცდომა მოუვიდათ,—საქმე ბოლოდინ დაიწყეს,—ასეთ საქმეში, როგორიც ჟურნალის გამოცემაა ჯერ საზოგადოებაში მოთხოვნილების გაღვიძებაა საჭირო, მომუშავე ძალების შეკრება, საქმის საჭიროების აზრით მათი გატაცება და შეკავშირება და შემდეგ, მხოლოდ შემდეგ, შეიძლება ვიზრუნოთ გარეშე დამხმარე წყაროების მოძებნაზე“...

მეთაურობისა რა მოგახსენოთ და ამ საქმის, ე. ი. ქველმოქმედთა მიმართ მწერლობისათვის დახმარების თხოვნის (პრესაში) ინიციატივა, როგორც მკითხველიც დაინახავდა ზემოდ თქმულიდან, მე მეკუთვნის და ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, ერთხელ კიდევ გამოვთქვა ჩემი აზრი ამ საგანზე, რადგან ვერც „დროების“ მეთაურემა და ვერც „ივერიის“ მეთვალყურემ თავიანთ წერილებით ოდნავაც ვერ დამაკმაყოფილეს. მაგრამ ვიდრე ამას ვიზამდე, უმორჩილესად ვთხოვ იმ პირთ, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას იღებდენ „ქველმოქმედთან“ მოლაპარაკებაში, რომელსაც დახმარება აღუთქვამს ქართულ მწერლობისათვის, და ჟურნალის გამოცემაზე კამათში (როგორც მ. მეთვალყურე ამბობს „სამოციოდე მწერალი და ინტელიგენტი შეგროვილა და უკამათნიათ“ ამაზე) გვაუწყონ ამ საქმის მთელი ვითარება პრესსიის საშუალებით!..

**დუტუ მეგრელი.**

### ივნისის წერილის გამო *)

**(ჭოვიშ № 7 18 იანვარი)**

ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებს.
(ხალხური ანდაზა)

ხშირათ შევხვდებით ხოლმე ისეთ საკითხებს და გარემოებას, რომელიც ერთის შეხედვით არავითარ მნიშვნელოვან ფაქტს არ წარმოადგენს თანამედროვე ცხოვრებაში, მაგრამ ადამიანი, ინსტინქტიურათ თუ შეგნებულად, ვერ შეურიგდება გულგრილათ მათ გადაწყვეტას რომელიმე სახით და ძალაუნებურათ სხვა და სხვა პირობების გავლენით იზიდავს გრძნობა გონებას. ასეთი საკითხები ხშირია და მრავალრიცხოვანი, ერთა ურთიერთობაში, ერთა ცხოვრებაში.

როცა რომელიმე ერი იძულებული შეიქნება, სხვა ერთან ერთად ერთ ტერიტორიაზე იცხოვროს, და ამასთან ნაციონალური თავმოყვარეობა და თვისება არც ერთს ნებას არ აძლევს პირადი სახე დაკარგოს, მაშინ ამ ნიადაგზე მათ შორის ბრძოლა სწარმოებს და უნდათ შეინარჩუნონ ხელშეუხლებლათ და შეულახავად ისტორიული ნაშთები. რაც უფრო ძლიერია ასეთი გრძნობა, მით უფრო ძლიერია ამ ნაშთების შენარჩუნების და მტკიცეთ დასაკუთრების სურვილი. ასეთი ისტორიული ნაშთები ქრისტიანულ სახელმწიფოებში ძველი ციხე ქალაქებია, როგორც პოლიტიკური ცხოვრების შედეგი, და უმთავრესათ ეკლესია-მონასტრები—რელიგიური მხარის გამომხატველი.

მართალია, რაც უფრო კულტურულათ ვითარდება რომელიმე ერი, მით უფრო და უფრო მცირდება სარწმუნოებრივი სათნოება, რელიგიური ფანატიზმი და თანდათან სარწმუნოებრივი თვისება ჩვეულებრივ ხასიათს ღებულობს. სარწმუნოება, რომელსაც პირველ და შუა საუკუნოებში უძლიერესი მნიშვნელობა ქონდა, რომელიც ერთ ერს მეორის წინააღმდეგ ამხედრებდა, თანდათან ჩამოყალიბდა და დაკარგა თავისი ცხოველმყოფელი ძალა. ციხე ქალაქები უწინ ინგრეოდა, ახალი შენდებოდა, ერთი ხალხი ქრებოდა და მის ადგილზე ახალი ტომი იკიდებდა ფეხს, სარწმუნოება კი თავს აღწევდა ყოველგვარ გასაჭირს, მოიკრეფდა ღონეს და უფრო ძლიერი, უფრო წმინდა, გასპეტაკებული ინარჩუნებდა ძალას და ათასობით იწირავდა მსხვერპლს. მაგალითისათვის შორს არ წავალ: ქართველი ხალხი ისე ძლიერათ იყო გატაცებული სარწმუნოებისადმი სიყვარულით, რომ ათასობით თავს სწირავდენ მას და წმინდანებათ ირიცხებოდენ მისთვის სიკვდილისათვის; სიცოცხლე ჩირათაც არ მიაჩნდათ, როცა სარწმუნოება განსაცდელში იყო. უბრალო გლეხიდან დაწყებული მეფეებამდე მათ იყვენ თავი შეეწირათ მისთვის და მაშასადამე სამშობლოსათვისაც, რადგან ეს ორი მცნება მარტო სარწმუნოებაში იხატებოდა: რელიგია და სამშობლო სინონიმები იყო და ამით აიხსნება ის განუწყვეტელი სისხლის ღვრა პირველსა და შუა საუკუნოებში ქართველთა პოლიტიკურ თავისუფლების დროს. მირიანი, ვახტანგ გორგასლანი, არჩილ მეფის, დავით და კონსტანტინეს წამება, დავით აღმაშენებლის მომამზადებელი ხანა, თამარის ბრწყინვალე მეფობა, ქეთევანის გმირული სიკვდილი, შალვა, ბიძინა და ელიზბარის სარწმუნოებისადმი თავის შეწირვა ქრისტიანობის ძლიერი გავლენის შედეგია. და აი სწორეთ სარწმუნოების ასეთი გავლენის შედეგი იყო, რომ ჩვენი მეფეები და ხალხიც ყოველ ღონის ძიებას ხმარობდენ აეგოთ ეკლესიები არა მარტო საქართველოს საზღვრებში, არამ დ სხვა სახელმწიფოებშიც, გაემშვენიერებიათ ისინი და დიდძალი ძვირფასი განძი შეეწირათ, რომ არსებულ ყოფილიყო ხალხის სიამაყის საძირკველი. დღესაც მთელი საქართველო დაფარულია საუცხოვო ეკლესიებით, რომელნიც ზოგი დანგრეულია და ზოგიც დღესაც აცვიფრებს მნახველს თავისი სიმშვენიერით. ბაგრატის ეკლესიის ნანგრევი ქუთაისში, გელათი, უფრო ახალი მოწამეთა, მცხეთის დიდებული ტაძარი, ვარძია, ტბეთის მონასტერი, სიონის ტაძარი დასხვა მოწმობს ქართველების სარწმუნოების სათნოებას და სიყვარულს. თითქმის ყოველ სოფელში დღესაც შეიძლება ნახოთ უძველესი ეკლესიების ნანგრევები. დიახ: საყდრები ერთათ ერთი ისტორიული ნაშთია, რომელიც ქართველების სიამაყეს შეადგენს. ამის უარყოფა მხოლოდ „გოლოს კავკაზას“ და ყოველგვარ „შოვინისტებს“ შეუძლია. ამიტომ რა გასაკვირველია და ან რათ უნდა იყოს საწყენი საქართველოში მცხოვრებ ხალხებისათვის, თუ ეს ნანგრევები ჩვენ გვიყვარს და ვცდილობთ შევინარჩუნოთ? რათ უნდა იყოს საწყენი სომხებისათვის, თუ სადაც ქართველთა სისხლი დაღვრილა და სადაც ქართველთა მონასტრები და ეკლესიები აგებულა, ჩვენათ აღვიაროთ? ამის უფლება ყოველს ერს აქვს და მადლობა ღმერთს, რომ დღესაც ჩვენ ჯერ-ჯერობით ერს შევადგენთ და გვაქვს ნაციონალური თავმოყვარეობა თუ სხვა ერებზე მეტი არა არც ნაკლები.

თავდაპირველათ ქრისტიანობა ერთ ეკლესიას წარმოადგენდა, არ ატარებდა ისეთ განსხვავებულ და მრავალფეროვან სახეს, როგორც დღეს: მართლმადიდებლობა, გრიგორიანობა, პროტესტანტობა დასხ. მხოლოდ დროთა ვითარების გამო განვითარდა; ხალხმა თავისებურათ გადაქმნა ერთი მოძღვრის ერთი მცნება. მე ამ ჟამათ მხოლოდ სომხობა და ქართველთა სარწმუნოებრივი ურთიერთობა მაინტერესებს.

ქართველებს და სომხებს სხვა და სხვაგვარი სარწმუნოება პირველსავე ხანებში კი არ მიუღიათ. გრიგორიანობა მხოლოდ შემდეგში განსაკუთრდა ცალკე სარწმუნოებათ და ნაციონალური ელფერი მიიღო. ქართველი მეფეები ხშირათ ცდილობდენ შემდეგ ისევ შეეერთებინათ ეს ორი სარწმუნოება: რუის—ურბნისის კრება დავით III დროს, თამარ მეფის დროს განახლებული ცდა კვლავ შეერთებისათვის არ დაგვირგვინდა სასურველათ ჩვენი მეფეებისათვის, რადგან სომხებმა ეს შეერთება უარყვეს. მას შემდეგ ეს ორი მონათესავე ხალხი. უფრო და უფრო დაშორდა ერთმანეთს სარწმუნოების მხრით, მაგრამ დღემდე განაგრძობენ საქართველოში ცხოვრებას.

სომხების სამშობლო საქართველო არ არის. იგი მოსული ელემენტია. სომხებმა ადრე დაკარგეს პოლიტიკური თავისუფლება და იძულებული იყვენ დევნისაგან თავი თავისუფალ საქართველოში დაეფარათ. ამ მხრივ ებრაელების და სომხების ბედი თითქმის ანალოგიურია. სომხები საქართველოში დაბინავდენ და ქართველებთან ერთათ მათ ბედსა თუ უბედობას შუაზე იყოფდენ. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი ამ ორი ერის ერთათ შეერთება, ერთ ერათ გადაქმნა არ მოხდა და ამის მიზეზი იყო მათი სარწმუნოების სხვა და სხვაობა. ებრაელებმა, თავისუფლების დაკარგვის და სამშობლოდან განდევნის შემდეგ, სარწმუნოება შეინარჩუნეს და დღეს მათ მხოლოდ იგი აერთებს, მეტი არაფერი დარჩენიათ. ისტორიულმა პირობებმა ისინი მრეწველობას შეაჩვია და დღეს ბევრგან ძალიან დიდი სიმდიდრე, ვაჭრობა მათ ხელშია. ასეთივე ბედი ეწია სომხობასაც. ტერიტორიის დაკარგვის შემდეგ მხოლოდ გრიგორიანობა აერთებდა და აერთებს ახლაც და ამიტომ პოლიტიკურათ უმწეო ერმა მრეწველობას ხელი მიყო. მაშინ, როდესაც ქართველებს ერთ ხელში მახვილი ეჭირათ მტრების მოსაგერებლათ და მეორეთი კი გუთანი საზრდოს მოსაპოვებლათ, სომხობა საქართველოში მყუდრო ცხოვრებას ეძლეოდა და თანდათან აჩაღებდა ვაჭრობას. ერთმა ტერიტორიამ, ერთმა მთავრობამ ვერ შეაერთა ეს ორი ხალხი. სომხობამ შეინარჩუნა თავისი ნაციონალური სახე, თავისი ძირითადი თვისება. სარწმუნოებაც რომ ერთი ყოფილიყო, შეერთება მაინც არ მოხდებოდა ხასიათის სხვადასხვაობის გამო.

**შ. დ—იანი.**

(შემდეგი იქნება)

* *
*

ტურფამ მითხრა: „არა მჯერა,
რომ შენ გწამდეს ბედის წერა
შენ ქვეყნის და მით გული
მართლა გქონდეს დადაგული;
შენა ჰშრომობ ისე, რომა
ყოველგვარი შენი შრომა
უშნოა და უფერული:
იქ ცოცხალი არ სჩანს გული“.
ვუპასუხე: „ჩემო ნაზო,
უშნოა და ულამაზო
ჩემი შრომა—იქა გული
უგულოდ ჰძგერს ბედი-კრული;
მაგრამ რად არ მოგაგონდა,
ვის მიუძღვის უფრო ბრალი:
მე რომ გული ერთი მქონდა,
ის ხომ შენვე მომიკალი!“

**გ გვაზავა.**

*
* *

მოდის მოდის გაზაფხული!
გაიშლება ნაზი ია,..
აჰყვავდება მთა და ველი
იგი ტურფა ლამაზია.
—
ამღერდება ფრინველთ გუნდი,
გაცოცხლდება მთლად ბუნება,
და მეც, როგორც ბუნების შვილს
მათებრ მელის ნეტარება.
—
და მით მიყვარს გაზაფხული,
მით მოველი აღტაცებით,
რომ ზამთრისგან დაჩაგრული
მაშინ ვლხენ მხოლოდ შვებით.

**დაუცხრომელი.**

## ახალი ამბები და დეპეშები

◆ **გრ. რობაქიძის ლექცია.** ქართველი საზოგადოება იშვიათად დამტკბარა ისეთ მშვენიერ ლექციების მოსმენით, როგორიც გრ. რობაქიძის ლექციებია. მშვენივრად შემუშავებული, დაქნილი, მხატვრული ენა მისი ლექციებისა მსმენელს იტაცებს. პირველად ბ. რობაქიძემ ქართული ლექცია აკაკის შესახებ წაიკითხა, ახლა ვაჟა-ფშაველასი და იბსენის თხზულებების გარჩევას ეხებოდა. მოკლე ხანში იგი აპირებს კიდევ სხვა ქართველ მწერლების გარჩევას და დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი საზოგადოება კვლავაც ჯეროვანად დააფასებს მის ნიჭსა და შრომას. მის ლექციებს ხალხი ბლომად ეტანება და ყოველთვის აღტაცებული რჩება. იმედია შემდეგი ლექციებიც მალე იქნება. განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ლექციებს იგი ქართულად კითხულობს.

◆ შაბათს, 7 მარტს, კავკასიის ნამესტნიკთან წარსდგა ქუთაისის გუბერნიის მარშალი თავ. ს. დ. წერეთელი, ქუთაისის საქმეების გამო მოსალაპარაკებლად.

◆ სოხუმიდან გვატყობინებენ, რომ ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარედ აურჩევიათ ნიკო თავდგირიძე, ქალაქის თავად კი ლევან ჯანდიერი.

◆ ბაქოდან გვატყობინებენ, რომ სპარსეთში მთავრობის ჯარები აჯანყებულა, თეჰერანი აუღიათ და შახის სასახლეზე იერიშით მისულან. ხმა დადის, რომ თვით შახი მძიმედ დაჭრილი არისო. სპარსეთის ყოველ კუთხეში თეჰერანის ამბებს ხალხი თანაგრძნობით მიეგებაო... ჯერ ჯერობით ამის შესახებ ოფიციალური ცნობები არ მოსულა.

◆ რკინის გზის ახალმა მინისტრმა ბრძანება გასცა, რომ ახლავე დამზადდეს სიები იმ პირთა, რომლებსაც სააღდგომოდ საჩუქრები ერგებათ. ამ სიებით საჩუქრები განსაკუთრებით იმათ უნდა მიეცეთ, ვინც ნაკლებ ჯამაგირებს იღებენ.

◆ ისიდორე რამიშვილი ჩრდილო-გუბერნიებში უნდა გაგზავნონ დასასახლებლად.

◆ გუშინ ტფილისის ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქმნა წლის პანაშვიდი განსვენებულ სტუდენტ მიხა ჩერქეზიშვილის სულის მოსახსენებლად, ხალხი პანაშვიდს ბლომად დაესწრო.

◆ ავსტრიაში ჯარებს ამზადებენ. რუსეთმა საფრანგეთს შეატყობინა ომიანობა თუ იქმნა ნეიტრალად დავრჩებითო.

◆ ტფილისის სამეურნეო ბანკში ასახელებენ ვლ. მიქელაძის თანამდებობაზე თავ. დიმ. ერ-ძეს, ჩოლოყაშვილს, ვას. გ. მაჩაბელს, ლევ. ჯანდიერს, დირექტორად კ. პ. თუმანიშვილს და პ. ა. გოთუას, იმ შემთხვევაში თუ ახლანდელი დირექტორი ვ. რ. ყიფიანი თავმჯდომარის მოვალეობას იკისრებს.

◆ გამოვიდა საყმაწვილო ჟურნალი, „ნაკადული“, თებერვლის, მცირე წლოვანთათვის № 3 და მოზრდილთათვის თებერვლის № 2 შინაარსი **მცირე წლოვანთათვის** მერცხლის გოდება, ლექსი დ. ელიოზაშვილისა. ტაგვი ბიგა, მოთხრ. თ. რაზიკაშვილისა, ყარამანის ნატვრა. მოთხრობა ბაჩანასი, ვირის თავ გადასავალი. (ფრანგ.) ან. ამილახვრის, როგორ აკეთებს ზღარბი საწოლს დ. ყიფიანისა, ცხოველების ცხოვრებიდან, ფრანგულიდან ა. ფალავასი, ანდაზები, და გამოცანები მოხერხებული პასუხი, ი. ივანიშვილისა, შარადა, ანაგრამა, რებუსი.

**მოზრდილთათვის:** ნასესხები, ლექსი აკაკისა, დიდებული საჩუქარი, მოთხრ. ვაჟა-ფშაველასი, პასუხად პატარა მეხრეს. ნ. ნაკაშიძისა. გირა ბასილაშვილი, ელო ანდრო—ლისა, კურდღლის ნაამბობი, ივანელისა, კვლავ გაბრწყინდა, ლექსი დ. ელიოზიშვილისა, ასანთის ამბავი. თარგ. ელ. ანტონოვსკისა. სინათლე და მისი მნიშვნელობა, (გაგრძ.) ი. მოსეშვილისა. ნაპოლეონ ბონაპარტი. ძია მღვდელი. თარგმ. თ. ბაქრაძისა. მადლიერი ლომი თარგმ. ელ ანტონოვსკისა. მითოლოგია ტროადას ომი ა. მიქაბერიძისა. გასართობი, შარადა, ასოების ამოცანა რუსულ.

◆ გამოვიდა საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ თებერვლის ნომერი- ნომერი როგორც ყოველთვის შინაარსიანი და სახალისო წასაკითხია. 1) სურათი (სადილობაა) 2) სადილობაა! ტასოსი, ვ.) ილომ გაიმარჯვა (რუსული). 4) ვანოს მურია, ამბავი ივ. გომართელისა. 5) ცოცხალი სათამაშო ალ. ფ—სი. 6) დედა იხვის გაჭირვება, სეტან-ტომპსონისა, თარგმ. ელ. მამულაშვილი—ვასაძისა. 7) პატარა ვიოლეტა (სურათი). 8) მდინარე, ლექსი ლადო გეგეჭკორისა. 9) ქარიშხალი, მოთხრობა ა. სერაფიმოვიჩისა (თარგმ.) მონისი. 10) მიწის ძვრა სიცილიაში. (4 სურათი) 11) ნისლი (გერმანულიდან) თამრო ნაცვლიშვილისა. 12) „კიბუნ დეიზინ“ მოთხრ. ჯენხეი მუსაისა (გაგრძელება) ან. ნათაძესი. 13) კოკოსის პალმა (ლევის წიგნიდან) ალ. ჭიჭინაძისა.

◆ პეტერბურგში, როგორც გაზეთებს ატყობინებენ, პსიხონევროლოგიური ინსტიტუტი გაჩხრიკეს, აღმოუჩენიათ შვიდი ფუთი სხვა და სხვა დოკუმენტები, მიწერ მოწერა და განაჩენები. პოლიციის ცნობით ინსტიტუტში კრება უნდა ჰქონოდათ სოციალისტ-რევოლიუციონერების მებრძოლ ორგანიზაციებს.

◆ **ინჟენერ რუტენბერგის წერილი.** გაზეთ „რუსკოე სლოვო“-ში პარიზიდან შემდეგი დეპეშაა დაბეჭდილი: გაზეთ „მატენ“-ში დაბეჭდილია წერილი ინჟენერ რუტენბერგისა, რომელმაც გაპონი მოჰკლა. რუტენბერგი სწერს, ს.-რ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მომანდო მომეკლა რაჩკოვსკი და გაპონი მას შემდეგ, რაც გაპონმა რაჩკოვსკის წინადადება მისცა, პარტიულ სამხედრო ორგანიზაციას გაეცემ 100,000 მანეთათაო. ცენტრალურ კომიტეტის სახელით რუტენბერგთან მოლაპარაკება გაუმართ ეს აზეფს. აზეფს ყველაფერი რაჩკოვსკისთვის შეუტყობინებია, რომ იგი დანიშნულ ალაგას გაპონთან მოსალაპარაკებლათ აღარ მისულიყო. შემდეგ აზეფს ცენტრალურ კომიტეტის ყალბი ბრძანება გადაუცია რუტენბერგისთვის, მარტო გაპონი მოჰკალიო. სხვათა შორის რუტენბერგი სწერს, გაპონის მკვლელები მის ღალატში გაპონისავე ალსარებით დარწმუნდენო“,

◆ ამ დღეებში იდღესასწაულეს **ცნობილ** ლიტერატორის სუვორინის 50 წლის იუბილეი.

სუვორინი ლიტერატურული ბელადია რეაქციონერებისა და მას დიდი ღვაწლი მიუძღვის თავის **სამშობლოს** წინაშე გარუსების ტაქტიკის გავრცელებაში.

### პასუხათ

**ბ. ივერიის კორესპონდენტ „მეთვალყურეს“.**

თქვენ პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ მეშვიდე ნომერში მოთავსებულია წერილი შემდეგი სათაურით: „ვაჭრული ჭკუა და სოციალ-დემოკრატია“. პირველი ნახევარი ამ წერილისა ეხება „ჩვენი საქმის“ რედაქციას და ნახევარი კი მე. „მეთვალყურე“ მაბრალებს, ვითომ ყველა მიმართულების ჟურნალ-გაზეთებს არ ვაწვდიდე ჩოხატაურის მკითხველ საზოგადოებას და მხოლოდ ერთ პარტიის გაზეთებს ვავრცელებდე. ვისაც წაუკითხავს „მეთვალყურის“ წერილი ადვილად დაინახავდა რომ ბ-ნი „ივერიის“ თანამშრომელი ისეთ ცილის წამებას სწერს ჩემ წინააღმდეგ, რომ პურიშკევიჩი ვერ შეთხზავდა მგონი ასეთ პრავაკაციურ წერილს და ლანძღვაგინებას, რაიც გამოიხატება იმაშიდ, რომ ვითომც მე მკითხველ საზოგადოებას ვაწვდიდე იმ ჟურნალ-გაზეთებს, რომელიც მე მომესურვება და ცენზორათ ვუდგებოდე მკითხველებს, რომ ისინმა სხვა მიმართულების გაზეთი არ წაიკითხონ, გარდა სოც. დემოკრატიულისა, და მოუწოდებს ჩოხატაურის მკითხველ საზოგადოებას, რომ ასეთ აპეკუნს, როგორიც მეგრელიშვილი არის, თქვენი გულის წყრომა გამოუცხადეთო. გასაკვირალია, რით ამტკიცებს ბ-ნი „მეთვალყურე“ ყველა ზემო წამოყენებულ ბრალდებებს? ფაქტათ ის მოყავს, რომ აგენტმა მეგრელიშვილმა მოიწერა, ყველა მიმართულების გაზეთებს ნუ მიგზავნითო, ეს რომ სიყალბეა მკითხველი დაინახავს შემდეგი გარემოე-

*) ამ წერილის დასტამბვა, ჩვენგან დამოუკიდებელ პირობის გამო დაგვიანდა.
შ.—დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიდან: როდესაც აგენტურა დაარსდა ტფილისში და აილო ბ. გაჩეჩილაძემ, მისგან ვღებულობდი ყველანაირ ჟურნალ-გაზეთებს, რაისაც მოთხოვნილება იყო ხალხში, შემდეგ აგენტურა გადაეცა ბ. სიმონოვს და მისგანაც ყველანაირ ჟურნალ-გაზეთებს ვიწერდი, რაიც საჭიროება იყო, და ბოლო დროს აგენტურა ისევ გაჩეჩილაძემ აილო და ყველანაირ ჟურნალ-გაზეთების გზავნა დაიწყო და 5 დღის განმავლობაში მივიღე 15 მანეთის ჟურნალ-გაზეთები, მაშინვე გაჩეჩილაძეს ვაცნობე, რომ ეს და ეს ჟურნალ-გაზეთები არ ისყიდება და არც ხელის მომწერი მყავს და ამიტომ გიგზავნით დარჩენილ გაზეთებს და თან სიაც წარვუდგინე თუ რა და რა გაზეთები ეგზავნა ჩემთვის და ზაგაჟათ გაუგზავნე 8 მ. 89 კ. გაუყიდავი გაზეთები და 6 მ. 49 კაპ. ფული. მიუხედავათ ამ წერილისა მაინც მომდიოდა ისეთი ჟურნალ-გაზეთები, რომელიც არ გაიყიდა და ხელმეორედ დეკემბრის დამლევს გაუგზავნე ზაგაჟათ დარჩენილი გაზეთები 6 მ. 96 კაპ., როდესაც მე ვსწერდი ბ. გაჩეჩილაძეს, რომ ამ და ამ გაზეთს ნუ გამომიგზავნით მეთქი, ეს იმას კი არ ნიშნავდა, რომ ხალხში იყო მოთხოვნილება და მე არ ვავრცელებდი, არამედ ეს იმას ნიშნავდა, რომ ხელის მომწერი ამა და ამ გაზეთს ჯერ-ჯერობით არ ყავს და არც ისყიდება და მაშასადამე ნუ მიგზავნით მეთქი.

როდესაც აგენტი ჟურნალ-გაზეთებს იწერს, მას უნდა ქონდეს მოთხოვნილება ესე იგი ხელისმომწერი უნდა ყავდეს ან ბაზარზე ისყიდებოდეს. როდესაც არც ისყიდება და არც ხელის მომწერი ყავს რომელიმე აგენტს ნუ თუ უფლება არ აქვს ბ-ნო ივერიის „მეთვალყურე,“ რომ გააგებინოს აგენტურას ამის შესახებ და განა ეს ნიშნავს პარტიულ მიკედლებას?? ეს ჩემი სიტყვები როგორც სჩანს უკუღმა გაუგია ბ-ნ „მეთვალყურეს“ და ცილს მწამებს ვითომც მკითხველი საზოგადოება ესე იგი მოთხოვნილება იყვეს იმ გაზეთის, რომელსაც მე არ ვიწერ, და არ ვანებებდე იმ გაზეთების შეძენას?? რა სულელი უნდა იყვეს აგენტი, რომელსაც საზოგადოებაში ეყოლება ამა თუ იმ გაზეთის ხელის მომწერნი და აგრეთვე მკითხველი და არ გამოიწერს გაზეთებს? რისთვის აბრმავებთ ბ-ნო „მეთვალყურე“ მკითხველ საზოგადოებას, როდესაც თქვენ სწერთ მეგრელიშვილი თქვენი აპეკუნი არისო. არავითარ აპეკუნობას არ საჭიროებს ხალხი, მათი ნებაა, რომელ ჟურნალ-გაზეთსაც გამოიწერს ან იყიდის, მე არავითარი უფლება არა მაქვს, მკითხველებს უთხრა, ესა და ეს გაზეთები გამოიწერეთ მეთქი; ამ უკანასკნელ ხანებში ჩოხატაურში რა მიმართულების ჟურნალ-გაზეთი უნდა იყვეს არ ისყიდება, რასაც დაინახავს მკითხველი საზოგადოება შემდეგ ცნობებიდან „ჩვენი საქმის“ ხელის მომწერი მყავს:

21—ისყიდება 4 ცალი.
„დროება“ 1.— 4 ცალი.
„ნოვ. ზაკავ“. 2—3 ცალი.
„მათრახი“ 6— 15 ცალი.
„ფასკუნჯი“ 1— 2 ცალი.
„ივერია“ — —
„კურიერი“ — —

საზოგადოთ აქ რუსული გაზეთის მკითხველი არ არსებობს. ორი-სამი პიროვნება არის რომლებიც ხან ყიდულობენ „ზაკავკაზიის“ და ხან არა. გაზეთი „კურიერი“ სრულებითაც არ მიაქვენ, აქედან მე ის დასკვნა გამომყავს რომ როდესაც გაჩეჩილაძეს ვწერდი, ამა და ამ გაზეთს ნუ გამომიგზანით მეთქი, მხედველობაში ის კი არ მაქვს, რომ სხვა და სხვა მიმართულების არის გაზეთები, არაარამედ იმიტომ ვსწერდი, რომ არავინ აღარ ყიდულობს ჟურნალ-გაზეთებს, მიუხედავათ იმისა, თუ რა მიმართულების იქნება ის და მერმედ იძულებული ვარ, აღნიშნულ 12 პროცენტზე მეტი რომ დარჩეს გაზეთები, ჩვენ უკან არ მივიღებთო. მაგრამ მიუხედავად ამისა გაზეთები დეკემბერში გაუყიდავი გაუგზავნე ბ-ნ გაჩეჩილაძეს 15 მ. 85 კაპ. ჩემი ინინტერესი მოითხოვს, რომ თუ კი რომელიმე ჟურნალ-გაზეთს გასავალი ექნება, გამოვიწერო და გავავრცელო. მაგრამ მე იმას ვწუხვარ, რომ რა მიმართულების გაზეთიც უნდა იყვეს ამ უკანასკნელ ხანებში, არ იყიდება. შეიძლება ბ-ნ „მეთვალყურეს“ ის უკვირს, რომ ს.-დ. გაზეთები მეტი გადის, ეს ჩემი ბრალი არ არის, ხელის მომწერი რომელ ჟურნალ-გაზეთს გამომაწერინებს, მე იმას გამოუწერ. და თუ როგორ ისყიდება აქ გაზეთები, ამას მკითხველი ჩემო დაინახავს. როგორც სჩანს, ბ-ნი „მეთვალყურე“ ძალიან გაბრაზებულა. როდესაც აგენტურას მივსწერე, რომ „ივერიას“ ნუ მიგზავნით მეთქი, რადგანაც არც ხელის მომწერი ყავს და არც ისყიდება მეთქი, და ან როგორ გაიყიდება გაზეთ „ივერიის“ კორესპოდენტის აზრით, როდესაც მე საზოგადოებაში ვაცხადებ, გაზეთი „ივერია“ არავინ იყიდოთ, რადგანაც ცუდი მიმართულების არის მეთქი!!! რატომ არ შეგრცხვებათ ბ-ნო „მეთვალყურევ“ ასეთი პრავაკაციული ჭორების წერა იმ დროს როდესაც მე არავითარ მიმართულებას არ ვარჩევ გაზეთების გავრცელებაში და ყოველივე ღონეს ვხმარობ, მკითხველმა საზოგადოებამ ყველა ნაირი ჟურნალ-გაზეთები შეიძინოს.

საახალწლოთ მივიღე ბ. გაჩეჩილაძისაგან წერილი, რომელშიდაც იტყობინებოდა, რომ თქვენ მგონი მიმართულებას არჩევთ და ეს არ არის სასურველიო. მე გაჩეჩილაძეს კერძო წერილით უპასუხე, რომ მე მხედველობაში ის კი არ მაქვს, თუ რა მიმართულების არის გაზეთი, არამედ ის, რომ ესა და ეს გაზეთები რჩება გაუსყიდავი და არც ხელის მომწერი ყავს და ამიტომ ნუ მიგზავნით მეთქი. (ასეთის შინაარსის წერილი გაუგზავნე მაშინ „ჩვენი ხმის“ რედაქციას, მაგრამ არ ვიცი რისთვის არ დამიბეჭდა). დასასრულ მე მოვითხოვ ბ-ნ „მეთვალყურ ისაგან“ ის ხულიგანური სიტყვები, რომელსაც ის მე მიწოდებს— „ცენზორს და პოლიციის“, უკან წაიღოს გაზეთის საშვალებით და ან დამიმტკიცოს, რომ სწორეთ მე არ ვანებებ ხალხს სხვა მიმართულების გაზეთის გამოწერას, და აგრეთვე ვთხოვ პატივცემულ მკითხველ საზოგადოებას, მიაქციოს შემდეგ პროვოკაციულ წერილს ყურადღება და თუ ცილმწამებლად ვიქცევი, ესე იგი პოლიციასავით თავზე ვადგევარ მკითხველ საზოგადოებას, რომ ეს და ეს გაზეთები არ გამოიწეროს მეთქი, და განათლებას წინ ვეღობები, კეთილ ინებონ დაინტერესებულმა მკითხველ საზოგადოების წევრებმა და შესაფერი პასუხი გასცენ ბ-ნ „ივერიის“ მეთვალყურეს, თუ რამდენათ სამართლიანი არის ჩემ წინაამდეგ მათი წამოყენებული ბრალდებები. დარწმუნებული ვარ, რომ მკითხველი საზოგადოება, თუ მე მკითხველ საზოგადოებაში რაიმე დანაშაულობა მიმიძღვის, გამოააშკარავებენ გაზეთების ფურცლებზე და კეთილ ინებონ, თუ მართლაც მე ისთე ვიქცევი, როგორც მეთვალყურე ბრძანებს, კეთილ ინებეთ იმ შემთხვევაში და დანიშნეთ “ჩოხატაურში“ სხვა აგენტი ვინც თქვენი სურვილი იყოს. ველი პასუხს საჩქაროთ.

ვთხოვ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

ჩოხატაურის აგენტი
**მეგრელიშვილი**.

## პროტესტი

ივერიის თანამშრომელ ბ. „მეთვალყურეს“.

ივერიის მეშვიდე ნომერში მოთავსებულია კორესპონდენტ მეთვალყურეს წერილი, რომელშიდაც მოიწოდებს ჩოხატაურის მკითხველ საზოგადოებას, რომ არა მკითხე ცენზორს და პოლიციის ასასივით ხალხის გონება-განვითარებაზე ყარაულად დამდგარ ბ. მეგრელიშვილს თავის გულის წყრომა გამოუცხადეთ, იმისთვინ რომ იგი განზრახ ახშობს სინათლეს და ცდილობს ხალხს სხვა მიმართულების გაზეთი (გარდა მუტათა პარტ.) ან ჟურნალი სრულებით არ წააკითხოს და აგრეთვე ვითომც ხალხის აპეკუნი იყოს აგენტი მეგრელიშვილი, ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი პროტესტს უცხადებთ ბ-ნ „მეთვალყურეს“, რადგანაც მისი სიტყვები ყველა ცილისწამებას და ლანძღვას შეიცავს და აგენტი მეგრელიშვილი ხალხს აწვდის იმ ჟურნალ-გაზეთებს, რაიც მოთხოვნილება არის *) და ჩვენ ისეთი ბრმები არ გახლავართ, რომ აგენტმა თვალი აგვიხვიოს, და რაც მას მოსწონს ის ჟურნალ-გაზეთები მოგვაწოდოს, და არც საპეკუნო ჩვენ არაფერი გვჭირს. ბ. მეგრელიშვილი დიდი მადლობის ღირსია, რადგანაც ის აწვდის ხალხს ყოველდღიურად იმ ჟურნალ-გაზეთებს, რაიც მოთხოვნილება არის, მიუხედავად იმისა რომ შრომის ფასი, ანასფელი რჩება. რასა შინა ჩვენ საკუთარ ხელს ვაწერთ 1) ირაკლი დოლიძე, 2) პლატონ სიხარულიძე, 3) იაშა კალანდაძე. 4) სამოელ თავართქილაძე 5) ვამეხი სიხარულიძე 6) ვარდენ ყაჭიშვილი 7) ირაკლი პაიჭაძე.

დასასრულ ჩვენ ვთხოვთ დაინტერესებულ მკითხველ საზოგადოების წევრებს, გამოსთქვან აზრი, თუ რამდენათ სამართლიანია ჩოხატაურის აგენტზე ბ. „მეთვალყურეს“ წამოყენებული ბრალდებები.

**მკითხველი საზოგადოების წევრებთაგანი.**

*) თუმცაღა ჩვენ მსურველები ვართ ყველა მიმართულების გაზეთები შევიძინოთ, მაგრამ ნივთიერი მდგომარეობა გვიშლის ხელს.

—

ბ. მეთვალყურეს პასუხი შემდეგ ნომერში დაიბეჭდება. **რედ.**

# დაბა-სოფელში

**ქ. ოზურგეთი.** კვირას 22 თებერვალს თვით-მართველობის დარბაზში აქაურ სცენის მოყვარეთაგან, მგოსან აკაკის სახელობის ბიბლიოტეკის სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნა ქართულ ენაზედ 1) „ქართველი დედა“ (დრ. 4 მოქ. ა. ცაგარლისა, რუსულ ენაზედ 2) „საუბედურო დებიუტი“ (ხუმ. 1 მოქ.) ანტრაქტებში სამხედრო ორკესტრი უკრავდა. წარმოდგენას, როგორც მოსალოდნელი იყო, აურაცხელი ხალხი მოაწყდა. მიუხედავად სცენის სივიწროვესი, არც ჩვენი სცენის მოყვარენი დარჩენ გულზედ ხელდაკრეფილნი, და მშვენივრად შეასრულეს თავ-თავისი როლები. ასე რომ, რაც უმფრო ენერგიულად ეკიდებიან საქმეს ჩვენი სცენის მოყვარენი, მით უმფრო მიყავენ წინ: უფრო კარგად ასრულებენ როლებს და უფრო აყვარებენ ხალხს ტეატრს.., საამური იყო კაკალა ნაკაშიძე ლეილის როლში, ევლირა წუწუნავა მარინას როლში, ს. ხურციძე უსუფ ფაშას როლში, გ. გოგიტიძე ვახტანგის როლში და დომ. თალაკვაძე ომარ-ხანის როლში. ამათ მაყურებელი საზოგადოება ძრიელი ტაშის ცემით აჯილდოვებდა. კარგი იყვნენ აგრეთვე ბ-ნი ილ. ლომაძე სულეიმან-შაგის როლში და ვ. გ. აბაშიძე ლუარსაბის როლში.

ამ პიესის გათავების შემდეგ დადგეს რუსულ ენაზედ „საუბედურო დებიუტი“ ესეც მშვენივრად ითამაშეს. დასასრულ გაიმართა ცეკვა და ხალხი ძრიელ ნასიამოვნები დაიშალა.

**გრიშა გურული.**

## კობა და გუგულო.

(მოთხრობა პროპაგანდისტთა ცხოვრებიდან)

IV

მრავალ საუკუნოებით ტანჯულ და დამონებულ ხალხის გულს მალამოსავით ხვდებოდა ახალი აზრები. რაღაც გამოურკვეველი იმედი და სიხარული დაისახა დაბეჩავებულ მშრომლებში. ყველა მშიერივით დაეწაფა ახალ აზრს და დიდურ ვარამით გულ-მკვდარს, სასოება მიხდილს უკეთესი, გაბრწყინებული მომავალი დაესახა. ყველას უკვირდა, თუ რათ დღემდის ვერ შეეგნოთ თავიანთი მდგომარეობა, რათ ვერ გაეთვალისწინებიათ ყველა ის, რაც ყოველ წუთს მათის ცხვირის წინ იყო და არსებობას უშხამავდა. თითეული წუთი, თითეული წამი მათ თვითშეგნებას საშინლათ ზრდიდა და წინ მიყავდა. რაც დრო გადიოდა, მშრომელი უმეტესობა თანდათან შორდებოდა თავიანთ სიცოცხლის ბნელეთით მოცულ ხანას და ახალ, დღემდის უცნობ, ბედნიერ ცხოვრებას უახლოვდებოდა. საერთო სიხარული გამეფდა, ბედნიერება ყველას კარზე მოეჩვენა. თავისი საკუთარი „მე“ უკან ჩამოდგა, ყველგან გამეფდა „ჩვენ“, განცალკევებულ, კარ-ჩაკეტილ ცხოვრებას ბოლო მოეღო, ყველამ ერთმანეთზე იწყო ფიქრი, ყველა ერთად შეუდგა საერთო ბედნიერების დამყარებას. ყველას ერთი ასულდგმულებდა, აფრთოვანებდა... დადგა უტკბილესი წამი ერის ცხოვრებაში, უბედნიერესი წუთები დღიდან არსებობისა. ბოლო მოეღო შურს, მტრობას, შენ-ჩემობას, საერთო მეჯლისმა დაათრო არემარე, იმედის ზღვა აზბოქრდა... გაწყდა ყოველივე კავშირი ბნელეთთან, მონობასთან. ადამის ტომმა დაანება პირუტყვულ ცხოვრებას თავი, მოითხოვეს თავის უფლებები, მოინდომეს ცა და ქვეყნის ბატონობა, მათის შექმნილის დაპატრონება. ელვის სისწრაფით შეუდგენ მჩაგვრელთა თავიდან მოშორებას... წარსული ჯოჯოხეთად აღიარეს, მომავალი სამოთხეთ... ბოროტება ისპობა, კეთილი მეფდება... თავისუფლების ჰიმნით ჰაერიც კი გაიჟღენთა... ღელავს ყოველ მხრივ ერი, ბობოქრობს, ერთი კუთხე მეორეს ბანს აძლევს, ეხმაურება... ძველი კერპები იმსხვრევა, ახალი ცხოვრება ახალ გმირებს შობს, თაყვანს სცემს მათ, აღმერთებს...

კობაც ამ გმირთა რიცხვში იყო. ის ერთი უსაყვარლესი და ყველასათვის სათაყვანო ამხანაგთაგანი იყო. მის სიტყვას და აზრებს ყველა მშიერივით ყლაპავდა, მწყურვალესავით ეწაფებოდა. მანაც მთელი თავისი არსებობა ხალხს შესწირა: მაზედ ფიქრობდა მუდამ, ოცნებობდა; ყველაფერი კერძო უარყო და თავისთავი მშრომელთა სამსხვერპლოდ შესწირა, მას ენაცვალა. ის სიხარულით ფეხზე არ იყო, როცა ხედავდა, რომ ამდენი ხნის დამონებული ხალხი ამოძრავდა, თავის მდგომარეობა შეიგნო და ადამიანურ ცხოვრებისკენ გაქანა, მას ხანდახან სიზმარშიც კი ეგონა თავი. თუმცა რამოდენიმე წლის უკან ოცნებაში თუ წარმოიდგენდა კობა მშრომელთა ასეთ ამოძრავებას, მარა დღეს ყველაფერი მის თვალ-წინ ხდებოდა.

ერთ დროინდელი ოცნება დღეს სინამდვილეთ ექცა კობას... და რა ბედნიერებაა როდესაც ოცნებას სინამდვილეში ნახავ, ჰაერში ნაშენებ კოშკებს შენ წინ შეხედავ! უაღრესი ბედნიერებაა და კობაც ბედნიერი იყო ამხანაგებთან ერთად.

— განა უკეთეს ბედნიერებას იგრძნობს და განიცდის ადამიანი? ბედნიერი ვარ ქვეყნის ბედნიერებით, ვხარობ ქვეყნის სიხარულითო, —ხშირად იტყოდა ხოლმე კობა და დაუღალავათ მუშაობდა. დღე და ღამე მისთვის ერთი იყო. სმა-ჭამაც კი ხშირათ ავიწყდებოდა, შრომით გატაცებულს საერთო საქმის მეტი არაფერი ახსოვდა.

მისი მშობლებიც დიდ ბედნიერებათ გრძნობდენ თავს, რადგან მათი კობა სრულებით ისეთის ბედის არ შეიქნა, როგორც მათ ეგონათ მასწავლებლობიდან გამორიცხვის შემდეგ.

— დრო იცვალა და დღეს სწორეთ კობას გზას უნდა ადგეს ყველაო, —იტყოდა მამა მისი, —საითაც ძალა, შენც იქეთ უნდა იყოო: მთავრობის ხელში იყო ძალა—ჩემი შვილიც მათკენ იყო, მთავრობამ ძალა დაკარგა და კობაც მას გადაუდგა... იცოდეთ მაგი ჰაერს ჭამს ამ ქვეყანაში, წუთი სოფელს რო შეეფერება, ისეთი კაციაო, —თან დაუმატებდა ამაყად...

დიახ, საერთო მეჯლისი და აღფრთოვანება იყო, მრავალ წლობით შეჯაჭვული მშრომელი მაჯა ბედნიერებით თავდავიწყებულიყო.. ბნელეთი ქრებოდა, ქვეყნის მხსნელი ვარსკვლავი ცის კამარაში მედიდურად კაშკაშებდა, ადამიანებს თავისკენ იწვევდა.. კიდით-კიდემდე თავისუფლების ჰიმნი ისმოდა...

მაგრამ უცებ ყველაფერს ბოლო მოეღო... მოკაშკაშე ბედნიერებას ელვასებრ შავი ზეწარი ჩამოეფარა და კვლავ გამეფდა ბნელეთი, საშინელი ბნელეთი... კვლავ კბილთ ღრჭენამ, სისხლით ცლამ, ტანჯვამ მოიცვა სამყარო. კვლავ ბოროტება გამეფდა, კეთილი შთაინთქა, მონობა აღსდგა, თავისუფლება დაუფსკრულდა... ნეტარი წუთები მსწრაფლ გაჰქრა, სამოთხე მოისპო, კუპრ-ჯოჯოხეთი განახლდა... სისხლით მოირწყო არე-მარე, მებრძოლთ ძვლებით მოიფინა მინდორ-ველი, ყვავ-ყორნები კვლავ ანავარდენ, სვავნი მყივარნი კვლავ ამოძრავდენ... საერთო აღფრთოვანება სასოწარკვეთილებით შეიცვალა... კვლავ კვნესა, ტირილი, ოხვრა გოდება! კვლავ მონობა, დამცირება, დამდაბლება! გაჰქრა ბედნიერება, წარვიდენ დღენი ნეტარნი!..

და კობაც ამხანაგებითურთ საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა... მას არ შეეძლო ბნელეთის შერიგება, მისი მონება. ის განხორციელებული თავისუფლება იყო და მონობასთან მას ადგილი არ ჰქონდა... მან დიდი ხანია რაც ზურგი შეაქცია იმ საშინელ ცხოვრებას და დღეს მისი მოგონებაც მისთვის გენია იყო... ის ამხანაგებითურთ კლდესავით იყო და გასკეცებულის ენერგიით და რწმენით იცავდა ბედნიერ წუთებს, მარა ჯერ კიდევ შეუგნებელი მშრომელი ხალხი უკვე წამოჩოქილი იყო ბრძოლის ველზე და ბაირაღ-ხატებით ხელში პატიებას ითხოვდა... ეს უწამლავდა კობას სიცოცხლეს, ეს უშხამავდა მისს ამხანაგებს არსებობას...

იქ, სადაც რამოდენიმე დღის უკან თავისუფლების ხმა ჰქუხდა, ბოროტება იმარხებოდა, იქ, სადაც საზარელი წარსული ინთქებოდა, ქვესკნელს ჰქრებოდა, იქ, სადაც მტრის სასხლი ნაკადულებათ ქცეული კარ-მიდამოს აწითლებდა და ახალ, ბედნიერი ცხოვრების საძირკველი ისკვნებოდა, აი იქ, აქ წმიდა ადგილზე დღეს პატიებას თხოულობდენ, მუხლ-მოდრეკილნი შეწყალებას ელოდენ... და ის მაჯა, რომელსაც ერთ დღეს შრომის წითელი დროშა ეპყრა, დღეს ბნელეთის მოციქულთა ბაირაღ-ხატებით იდგა თავჩაქინდრული.

ეს უშხამავდა კობას სიცოცხლეს, ეს უწამლავდა მისს ამხანაგებს არსებობას...
საშინელი წუთები იყო...

V

გუშინდელი გმირები დღეს მტვრათ იქცენ, გუშინდელი ღმერთები დღეს ტალახში ყრიან... განახლდა გენია მთელის თავის სიმკაცრით: დევნიან ყველას, ვინც უკმაყოფილოა ასეთის მდგომარეობით, ციხეში ყრიან, ხვრეტენ, ახრჩობენ... დასდევენ კობასაც, ვით ტყის ნადირს, უნდათ ისიც მოაშორონ ქვეყანას, დევნიან მისს ამხანაგებსაც... კობაშიც თავის დაცვის ინსტინქტი იღვიძებს და იწყება საშინელი ბრძოლა, ბრძოლა მალული. დღე ღამ, ყოველ წამს, ყოველ წუთს კობა თავს ყარაულობს, რევოლვერი მარჯვე ადგილს აქვს, რომ უბრძოლველათ არ დანებდეს მტერს... სმაჭამა, მოსვენება, ძილი მისთვის თითქმის არ არსებობს! არ იცის, სად დაუღამდება, სად გაუთენდება, რით მოელის სიკვდილი, —ტყვიით თუ სიმშილით, გადასახლებით, თუ ციხეში ჯდომით... აუწიოკეს სახლ-კარი, ნათესავები...

თუ ის რამოდენიმე დღის უკან ქვეყნისთვის იღვწოდა, საერთო საქმის მეტი არაფერი ახსოვდა, დღეს ყოველ წუთს თავის პირადობაზე ფიქრობს... ვინ თავხედი ახლებდა იმ ნეტარ დროს კობას ხელს, ვინ თავზე ხელ აღებული ახსენებდა მას ცუდათ, ვინ იქნებოდა ისეთი, რომ კობას პატივისცემა დაეშურებია, მარა დღეს ყველაფერი უკუღმა შებრუნდა... მაშინ ყველა თავს დადებდა კობასთვის, ის უსაჭიროესი ადამიანი იყო საზოგადოებისთვის, დღეს კი ის მტრათ, ავაზაკათ აღიარეს და არ ინდობს მას ძლიერი ამა ქვეყნის, ცდილობს პირველ შეხვედრისთანავე მოსპოს... ხალხი კი სდუმს, გულ ჩათხრობილია და ხმა გაკმენდილი ისმენს, თუ როგორ აძაგებენ და ტალახში სვრიან იმ პირს, რომელსაც ის ერთ დროს ეთაყვანებოდა და უსაყვარლეს კერპად ყავდა მიჩნეული...

ბევრი კობასებრ მუშაკები დაიჭირეს, ბევრს ესამარა ბნელი სავანი, ბევრი მოკლეს, ბევრი დახვრიტეს... კობას დაჭერა კი ჯერ ვერ მოუხერხებიათ. ის ისე გაიწვრთნა, ისე დახელოვნდა, რომ ვინ იცის რამდენი ჯაშუშები და პოლიციელი გააცურა...

— არა უშავს, იდეა მაინც გაიმარჯვებს, სიმართლე მაინც თავისას გაიტანს, —ხშირათ გაივლებდა კობა გულში.

— ხელახლად უნდა შეუდგეთ საქმეს, უნდა ხელახლათ ვაშენოთ ჩვენი ბედნიერება, —ეტყოდა ამხანაგებს...

აი სწორეთ ამ დროს დაუახლოვდა კობა გუგულოს...

მართალია ისინი ერთმანეთს კაი ხანია იცნობენ, მარა ეს მხოლოთ უბრალო ნაცნობობა იყო და მეტი არაფერი. კობა ისე იყო მუშაობით გატაცებული, რომ გუგულოს მხოლოთ მაშინ გაიხსენებდა, როცა დაინახავდა და მასთან ისიც უნდა ვთქვათ, რომ მაინცა და მაინც არც ისე ეტანებოდა მისს მეგობრობას და შეხვედრას. ერთი იმისათვის, რომ გუგულოს ხასიათი და პოლიტიკური რწმენა ძალიან გამოურკვეველი იყო კობასთვის, მეორე, —გუგულოს არ შეეძლო ის სილამაზით გაეტაცებია. ის უბრალო, ძალზე უბრალო სილამაზის პატრონი იყო. თუმც ეშხი და ლაზათი გვარიანათ შესწევდა. შავგრემანი, საშვალო ტანის

და ძალზე წყნარი—ის ვერასოდეს ვერ გაიტაცებდა ახალ გაცნობილ და დაუახლოვებელ ადამიანს... დღევანდელ მოძრაობას ის თითქოს არც კი თანაუგრძნობდა, ვინაიდან ერთი რომ არაფერ მონაწილეობას არ იღებდა თითქმის და მეორე,—ზოგიერთ ენა გრძელივით როდი ლაყბობდა მაზედ ყოველ წამს უთავბოლოთ. ნამდვილათ კი ის ერთი უპატიოსნესი ადამიანი იყო და მოძრაობასაც სულით და გულით თანაუგრძნობდა, მარა იმდენი გამბედაობა და თავგამოდება მას არ ჰქონდა, რომ შეუდრეკელათ გამოსული ყო და ემოქმედნა. გუგული რომ შესაფერ წრეში ყოფილიყო, უთუოდ ერთი და ორი თუ რამეს იქმნდა, ისიც იქ იქნებოდა, მარა უბედურობა ის იყო, რომ გუგულის განვითარებას პირობები ხელს არ უწყობდა და ისიც ცხოვრებას ჩამორჩა. მასთან ის ძალზე ღარიბი იყო და მუდამ კუჭზე ფიქრობდა. რაღაც ოცი მანეთი ჰქონდა თვიური ჯამაგირი და ამ ფულიდგანაც უკანასკნელ 12—13 მან. მშობლებისთვის უნდა მიეწოდებია. სასმელ-საჭმელს თავისი ხელით იკეთებდა, მამა კი სიმინდს უზიდავდა. მშობლები წვრილი შვილების პატრონი ყავდა, ბავშვებისთვის უნდა ესწავლებინათ და ამას კი გუგულის დაუხმარებლათ ვერ მოახერხებდენ. ისინი გუგულოსაც ვერ გაზრდიდენ, მარა ნათესავების დახმარებით პროგიმნაზიის ოთხი კლასი გაათავებინეს და შემდეგ მასწავლებლობა აშოვინეს.

რაკი თავისუფლების დღეები ასე სამწუხაროთ გაქრა, გუგულის ცხოვრებაც თითქოს დაწყნარდა. მარა სოფლის აწიოკების დროს ბევრი შიშიც გამოიარა და ბლომათაც იტირა, თუმც გადარჩა კი, რადგან „შეუმჩნეველი“ იყო.

კობამ რაკი შეატყო რომ გუგულის არც მაინცა და მაინც თვალყურს ადევნებდენ და არც „შემჩნეული“ იყო, განიზრახა მისს სკოლაში ღამის თევა, თუმც პირველათ ძალიან ეშინოდა გუგულოსი. მარა გუგულომ სიამოვნებით მიიღო კობა და აღუთქვა შემწეობის აღმოჩენა. როცა კი კობა სკოლაში მივიდოდა, ის მოასვენებდა და რითაც შეეძლო პატივს ცემდა.

. . . . . . . . . . . . . .

გუგულო დიდხანს მოწიწებით უყურებდა კობას. მას ვერც კი წარმოედგინა, თუ კობას ჩვეულებრივი ადამიანის თვისებები ჰქონდა... აგერ ორი თვე გავიდა და ერთი სახუმარო სიტყვა არ უთქვამსთ ერთმანეთისთვის, მუდამ სერიოზული ლაპარაკი იყო მათ შორის. მარა კობა ბუნებით ცოცხალი და თან მხიარული გულის პატრონი იყო: ის თან და თან აჩვევდა სიტყვას და აცნობდა თავის ხასიათს. მორცხვი და გაუბედავი გუგულოც თან და თან თამამდებოდა და ამნაირათ მათ შორის მეგობრობაც ფეხს იდგამდა და შეუმჩნევლათ ისკვნებოდა...

## VI

ადამიანი რაც უნდა გულგაუტეხელი იყოს, რწმენით აღსავსე და გაძლენთილი გული ჰქონდეს, ერთ წუთს მაინც ჩაფიქრდება თავის კერძო ცხოვრების ცუდ მხარეზე, ერთხელ მაინც ჩააფიქრებს მას თავისი მდგომარეობა და ადვილათ შესაძლებელია ამ დროსთან ბედიც დაიწყევლოს. მას არ შეუძლია მთელის თავის არსებით ენაცვალოს საზოგადოებას და თავისი „მე“ სრულებით დაივიწყებას მისცეს, მით უმეტეს მაშინ, როცა მისი იდეალები შემუსვრილია, ან იმუსვრება... დიახ, ეს ბუნების კანონია და ამ კანონის ქვეშ იყო კობაც.

— ამდენი ვიშრომეთ, ვიტანჯეთ,— გაიფიქრებდა ის,—ჩემი ახალგაზდობა ლამის დავლიო და მაინც არაფერი გამოდის. ის იყო საოცნებო ბედნიერებას ვუახლოვდებოდი, მარა ყველაფერს ბოლო ბოლო და ისევ იმაზედ ვოცნებობ, რაზედიც ამდენი ხანი ვფიქრობდი და ვმოქმედებდი. „ეს არც ყოფილა და არც იქნება“, ჩვენ გვატყვილებენო, ამბობენ ურწმუნონი. ან იქნება ისინი მართალნი არიან? იქნება ყველაფერი ეს მართლაც შეუძლებელია და ტყვილათ მიფუსფუსნია! თუ ეს აგრეა, მეც მეტი ბარგი ვყოფილვარ, არც მე ვყოფილვარ საჭირო... ხშირათ ფიქრობდა ასე კობა და გულს იბურავდა...

— დავლალდი, მოვწყნდი თითქოს! იდეალი შემემუსრა, ტალახშია და იქნება ვერ სოდეს ვერა ვეღირსო მის განხორციელებას, ვინ იცის? იქნებ ის მიუწდომელია. მართლაც, როგორც „საქმის კაცები“ დამჩხავიან. ყველა ჩემს სიტყვებს ყლაპავდა, სასარგებლო პირათ ვიყავი მიჩნეული, დღეს კი საზოგადოების მტრათ და დამღუპველათ მაღიარებენ და როგორც ასეთს ყოველ წამს მოკვლას მექადებიან...

— დედას ვერ მივკარებივარ, მამას, და ძმებს, დევნიან... ბევრს ვეზიზღები, ხანდიხან ლუკმა პურიც მიჭირს, ტანს არ მაცვია, ფეხს, სახლი არ არის ჩემთვის, კარი... არავინ არის ქვეყნად ისეთი, რომ ჩემზე იზრუნოს, ივალალოს, არავის გულს არ ვეწვი, ვარ ასე ბედის ანაბარა...

ასეთ ფიქრებში მყოფ ადამიანში საუცხოვო ნიადაგია მომზადებული მოპირდაპირე სქესის შესაყვარებლათ და კობასაც თან და თან ენერგებოდა გულში გუგულოსადმი სიყვარული. ის საშინლათ გაიტაცა გუგულომ... ერთი მშვენიერი დღე და... გუგულო და კობაც ერთმანეთს ეხვეოდენ...

და სწორეთ ამ დროს იწყება ჩვენი მოთხრობაც.

**ვ. მალაქიაშვილი**

(შემდეგი იქნება)

---

### ივერიის ფოსტა

**უ—ს.** თქვენი კორესპონდენცია ყვირილაში წარსულ კვირას მომხდარ ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოების კრებისა არ დაიბეჭდება, რადგანაც გამგეობას თურმე კილია ნემსაძე მომხრეუბს და მისი „ხათრით“ არც თქვენ გაწყენინებთ.

---

რედაქტორ-გამომცემელი
**კ. ი. ხერხეულიძე.**

დაბა ყვირილასა და შორაპნის შუა

# იყიდება

პირველ ხარისხოვანი **სავენახე ადგილები** სივრცით 40 ქცევა, საჟენი 25 კაპ. და მეტიც, მორიგებით. მსურველს შეუძლია მიმართოს პირობების გასაგებათ ყვირილაში „სორაპნის“ წიგნის მაღაზიაში **ი. გაჩეჩილაძეს.**

კახეთის ნამდვილი

ღ ვ ი ნ ო



„ძმობა“

0—1

ჯკისრულობ სოფლის და ქალაქის მამულების

## დაგირავებას და გადაგირავებას

ადრესი: г. Тифлисъ ул. Бѣлинскаго, бывш. Кирпичная д. № 19. кв. кн. Херхеулидзе.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის 8½—10 საათამდის—საღამოობით 5—7 საათამდის. შეიძლება წერილობითაც.

### ქ უ თ ა ი ს ი ს ე ქ ი მ ე ბ ი:

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა).

**ექიმი ა. ი. აშიანცი** ყოფილი ორდინატორი ხარკოვის საჰოსპიტალო ქირურგიულ კლინიკისა, იღებს ავადმყოფებს ქირურგიულ და ვენერიულ, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა. დილით 8—12, საღამოთი 5—7 საათ. ტფილისის ქუჩა, სახლი რუხაძისა, № 20.

**ექიმი ვ. მ. ლორთქიფანიძე** იღებს ავადმყოფებს დილით 8—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდის. გენერალის ქუჩა. ქურთოევის სახლი № 1.

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე** იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 9—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ სათ. ლევაშოვის ქუჩა, ს. № 29 ჩარექოვისა.

**ექიმი ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულობით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 12—2 ს. და საღამოთი 4—6 საათ.

**ექიმი ჯ ა ფ ა რ ი ძ ე** შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა.

**კაბინეტი ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა, ყორღანოვის ქუჩა. საკუთარი სახლი, № 20, ტელ. 791.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე, დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ ხედავს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ი ს ა რ გ ე ბ ლ ე თ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ

1 2 მ ა რ ტ ი დ ა ნ

## ვაჭრობის შეწყვეტის გამო დაიწყება

# ლიკვიდაცია

შეკერილი კაცის, ქალის და ბავშვების ტანისამოსი სავაჭრო სახლის

## ძმ. აკოფჯანოვების და სარქისოვის

ნიკოლოზის ხიდზე, კამოევის სახლი

## ფასები გადაჭრილია

## და აღნიშნულია უკანა იარლიკის გვერდზე ლურჯი კარანდაშით

იქვე იყიდება მაღაზიის მთელი მოწყობილობა.

ი ს ა რ გ ე ბ ლ ე თ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ

5—1

# პროვოდნიკის

## ამხანაგობა

## რიგაში

1888

## საფაბრიკო საწყობის განყოფილება ამიერ-კავკასიისთვის

## თფილისში სოლოლაკის ქუჩა, № 4.

## იყიდება ნარდათ და ცალობით

დარეზინებული წყალგაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალი საზღვარგარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა სულ იაფ ფასამდე.

დარეზინებული წამოსასხამები და პალტოები ბ-ნთ აფიცრებისათვის.

დარეზინებული მატერია სხვადასხვა მიზნისათვის.

რეზინის ლოუბილი.

№ 4. საფარცხლები რქის რეზინისაგან.

## ცალობით ვაჭრობა დედამიწაზე საუკეთესო

№ 2. კალოშების „პროვოდნიკისა“

(25—ნ.—12).